

შეტყობინება მეოთხე

დამყნობილნი ქრისტეზე, გახდნენ სიცოცხლის ხის ნაწილი

ადგილები წერილიდან: დაბ. 2:9; 1 კორ. 6:17; რომ. 11:17, 24; იოანე 15:1, 4-5

I. ბიბლია გვიხსნის, რომ ღმერთს სურს ჰქონდეს ადამიანთან ისეთი ურთიერთობები, რომლის დროსაც ის და ადამიანი გახდებიან ერთი – 1 კორ. 6:17:

- ა. ყოველთვის, როდესაც ჩვენ მივდივართ ბიბლიასთან, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ერთი პრინციპი – პრინციპი, რომელიც არის ის, რომ ღმერთს უნდა იყოს ერთი თავის ამორჩეულ ადამიანებთან – იოანე 14:20.
- ბ. ძირითადი ჩანაფიქრი ღმერთისა არის ის, რომ გახადოს თავისი თავი ერთი ადამიანთან და გახადოს ადამიანი ერთი თავის თავთან – ეფეს. 4:4-6.
- გ. ღმერთს უნდა, რომ ღვთაებრივი სიცოცხლე და ადამიანური სიცოცხლე შეერთდეს, გახდეს ერთი სიცოცხლე.
- დ. ცენტრალური ხაზი ღმერთის სახლმშენებლობის მიმართულია იმისკენ, რომ გახადოს ღმერთი და ადამიანი, ადამიანი და ღმერთი ერთი მთლიანი, ისე რომ ამ ორს ექნება ერთი ცხოვრება ერთი სიცოცხლისა და ერთი ბუნების მეშვეობით – გამოცხ. 22:17.
- ე. თავის განკაცებაში ქრისტემ მოიყვანა ღმერთი ადამიანში, ხოლო თავის აღდგომაში მან მოიყვანა ადამიანი ღმერთში; ამის წყალობით მან განახორციელა ღმერთისა და ადამიანის შერწყმა, გახადა ისინი ერთი – რომ. 8:3; 1:3-4:
 1. ჩვენ ვიმყოფებით ქრისტეში, ხოლო ის – ჩვენში; ის და ჩვენ გავხდით ერთი პიროვნება – 1 კორ. 12:12.
 2. ქრისტე გახდა ჩვენ, და ჩვენ გავხდით ის – ებრ. 2:14, 11.

II. ღმერთს უნდა, რომ ჰქონდეს ადამიანებთან ისეთი ურთიერთობები, რომლის დროსაც ის და ადამიანი იქნებიან დამყნობილნი ერთმანეთზე და შედეგად გახდებიან ერთიანი ორგანულ კავშირში – რომ. 6:3-5; იოანე 15:4-5:

- ა. დამყნობილი სიცოცხლე – არ არის სიცოცხლე, მიღებული სანაცვლოდ, ეს არის ადამიანის სიცოცხლის შერწყმა ღვთაებრივ სიცოცხლესთან – 1 კორ. 6:17.
- ბ. დამყნობის პროცესში ორი მსგავსი სიცოცხლე ერთდება და შემდეგ ორგანულად იზრდება ერთად – რომ. 11:24:
 1. ვინაიდან ჩვენი ადამიანური ცხოვრება იყო შექმნილი ღმერთის სახებად და თანახმად ღმერთის მსგავსებისა, მას შეუძლია შეუერთდეს ღვთაებრივ სიცოცხლეს – დაბ. 1:26.
 2. ჩვენი ადამიანური სიცოცხლე შეესაბამება ღვთაებრივ სიცოცხლეს, ამიტომ ღვთაებრივ სიცოცხლეს და ადამიანურ სიცოცხლეს შეუძლიათ დამყნობა ერთმანეთზე და ერთად ცხოვრება.
- გ. იმისათვის, რომ ჩვენ ვიყოთ დამყნობილი ქრისტეზე, მას უნდა გაეკლო განკაცების, ჯვარცმისა და აღდგომის პროცესები იმ მიზნით, რომ გამხდარიყო მაცოცხლებელი სული – იოანე 1:14; 1 კორ. 2:2; 15:45.

- დ. ჩვენ ვართ დამყნობილი ქრისტეზე როგორც სიცოცხლის ხეზე, და ამ დამყნობამ გაგვხადა ჩვენ ერთნი მასთან – რომ. 11:24:
1. ქრისტე და მორწმუნეები არიან ერთი ხე; ის არის ვაზი, ხოლო ჩვენ – ლერწები – იოანე 15:1, 5ა, 4ა.
 2. ქრისტე ხდება ჩვენი სიცოცხლე, ბუნება და პიროვნება – კოლ. 3:4, 10-11; ეფეს. 3:17ა.
- ე. ჩვენ ხელახლაშობილმა ადამიანებმა, დამყნობილებმა ქრისტეზე, უნდა ვიცხოვროთ დამყნობილი სიცოცხლით, სიცოცხლით, რომლის დროსაც ორი მხარე ერთდება, რათა გაიზარდოს ორგანულად:
1. ვინაიდან ჩვენ ვართ დამყნობილი ქრისტეზე, ჩვენ აღარ უნდა ვიცხოვროთ ჩვენით; ჩვენ ნება უნდა მივცეთ პნევმატურ ქრისტეს, იცხოვროს ჩვენში – გალ. 2:20.
 2. ჩვენ აღარ უნდა ვიცხოვროთ ჩვენი ხორცის ან ჩვენი ბუნებრივი არსების მეშვეობით; ჩვენ უნდა ვიცხოვროთ დამყნობილი სიცოცხლით შერწყმული სულის – ხელახლა შობილ ადამიანურ სულთან შერწყმული ღვთაებრივი სულის მეშვეობით – 1 კორ. 6:17; რომ. 8:4.
- ვ. დამყნობილ სიცოცხლეში ადამიანური სიცოცხლე არ არის მოშორებული, არამედ ის მტკიცდება, მაღლდება და მდიდრდება ღვთაებრივი სიცოცხლით – გალ. 2:20; 4:19; ეფეს. 3:16-17ა:
1. დამყნობილ სიცოცხლეში ლერწი ინარჩუნებს თავის დამახასიათებელ თვისებებს, მაგრამ ამასთან ერთად ის მტკიცდება, მაღლდება და გარდაისახება იმის წყალობით, რომ ის დამყნობილია უფრო მაღალ სიცოცხლეზე – იოანე 15:4-5; რომ. 11:17.
 2. დამყნობილ სიცოცხლეში ღვთაებრივი სიცოცხლე მუშაობს ჩვენ შიგნით, რათა გამოიტანოს ჩვენგან უარყოფითი ელემენტები:
 - ა) ღვთაებრივი სიცოცხლე მუშაობს გამუდმებით, გვაშორებს ყველაფერ ბუნებრივს.
 - ბ) ღვთაებრივი სიცოცხლე შთანთქავს ჩვენს ყველა ნაკლოვანებასა და უძღურებას.
 - გ) უარყოფითი ელემენტი ჩვენი მიდრეკილებებისა არის მოკლული და შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ მოგვაშოროს ჩვენი მიდრეკილებები, უფალი ამალღებს და იყენებს მას.
 3. დამყნობილ სიცოცხლეში ღვთაებრივი სიცოცხლე აღადგენს ღმერთის თავდაპირველ ქმნილებას და ამალღებს ჩვენს უნარებს – იოანე 11:25; ეფეს. 4:23:
 - ა) მასთან ერთად, რაც ღვთაებრივ სიცოცხლეს გამოჰყვას ჩვენგან ყველაფერი უარყოფითი, ის მუშაობს იმ მიზნით, რომ აღადგინოს ღმერთის თავდაპირველი ქმნილება.
 - ბ) ასე აღდგება, მტკიცდება და ამალღდება ჩვენი თავდაპირველი ფუნქციები – ფუნქციები, მოცემული ჩვენთვის შექმნისას – გალ. 2:20.

4. დამყნობილ სიცოცხლეში ღვთაებრივი სიცოცხლე ამარაგებს ქრისტეს სიმდიდრით ჩვენს შინაგანს და ჟღენთს მთელ ჩვენს არსებას – რომ. 12:2; 8:29-30.

III. ქრისტე როგორც სიცოცხლე ხე არის ჩვენთვის ღმერთის როგორც სიცოცხლის განსხეულება, და ჩვენ, ისინი ვინც დამყნობლი ვართ ქრისტეზე, შევუერთდით მას ორგანულად, რისი წყალობითაც ჩვენ ვართ სიცოცხლის ხის ნაწილი – კოლ. 2:9; იოანე 15:1, 4-5:

- ა. ჩვენ არა მარტო ვჭამთ ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხეს – ჩვენ შევუერთდით მას და ვართ მისი ნაწილი – 1 კორ. 6:17.
- ბ. სიცოცხლის ხე განკუთვნილია ღვთაებრივი სიცოცხლის დარიგებისათვის ჩვენთვის; მასთან ერთად, რაც ჩვენ, ლერწები, ვრჩებით ვაზზე, ჩვენ ვღებულობთ სიცოცხლის დარიგებას სიცოცხლის ხიდან და ვცხოვრობთ როგორც სიცოცხლის ხის ნაწილი – იოანე 15:5; რომ. 8:2, 10, 6, 11; შდრ. ფილიპ. 4:13.
- გ. ქრისტე როგორც სიცოცხლის ხე განკუთვნილია ღვთაებრივი სახლმშენებლობისათვის, რომელიც არის ის, რომ დაარიგოს თავისი თავი ჩვენში; ჩვენ, ვაზის ლერწები, ვრჩებით მასში, ხოლო ის რჩება ჩვენში.
- დ. მასთან ერთად, რაც ჩვენ ვრჩებით ვაზზე, ხდება ღმერთის დარიგება ჩვენში, სიცოცხლის დარიგება სიცოცხლის ხიდან ლერწებში; ეს დარიგება გვხდის ჩვენ ღმერთკაცებად – რომ. 8:10, 6, 11.
- ე. დავრჩეთ ქრისტეში როგორც ვაზში – ნიშნავს მივიღოთ ის როგორც ჩვენი საცხოვრებელი; ეს არის უმაღლესი და უდიდესი განცდა ღმერთისა; ვიცხოვროთ ქრისტეში – ნიშნავს გაგატაროთ ჩვენი სიცოცხლე ქრისტეში, მივიღოთ ის როგორც ყველაფერი ჩვენთვის – ფსალ. 90:1; 91:1, 9.
- ვ. თუ ჩვენ ვიცხოვრებთ როგორც ნაწილი სიცოცხლის ხისა, ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას არა სიკეთესა და ბოროტებას, არამედ სიცოცხლეს და გავარჩევთ ყველაფერს არა თანახმად სწორისა და არასწორია, არამედ თანახმად სიცოცხლისა და სიკვდილისა – დაბ. 2:9, 16-17; 2 კორ. 11:3.